ს.ს.ს.ი. რესპუბ. ბიბლიოთეკა

პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТА ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ГАЗЕТИ გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

№ 284 (19426) ◆ ხუთშაბათი, 12 დეკემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ინიციატორთა დევიზით:

წლიური — გეგმა ვადამდე!

ბარდავნის რაიონის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც სკკ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული, წარმატებით შეასრულეს მეთრამეტე ხუთწლედის ეკონომიკურ-სოციალურ ამოცანათა ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა. მათ სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმა დავალება წლიურს 15 ნოემბრისათვის ჭარნდათ რეალიზებული, ნაცვლად საგეგმო 957 მილიონი მანეთისა აწარმოეს 964 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. მეთორმეტე ხუთწლედის ბარიერში წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვეს 25 მილიონი მანეთის პროდუქციას. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის, ბარდავნის საკონსერვო ქარხნის, საქართველოს ბიოკომბინატის და სამონტაჟო ნაკეთობათა ქარხნის შრომითმა კოლექტივებმა.

ეს რეფერენდუმის აღნობა საქართველოს კომპარტიის ბარდავნის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. ბოკერიამ.

ფაალეთაგლა ზონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 11.591 ტონა ხორცი ნაცვლად 11.566 ტონისა, მათ შორის საზოგადოებრივი სექტორიდან 6.084 ტონა ნაცვლად 5863 ტონისა. 21.401 ტონა რძე, ნაცვლად 21.300 ტონისა, მათ შორის საზოგადოებრივ მეურნეობებიდან დამზადებულია 17.864 ტონა რძე.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეცხოველეებმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლეულდელი საგეგმო დავალება გადაჭარბებით შეასრულეს. 2416 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 2433 ტონა ხორცი. დამზადება გრძელდება. ეს რეფერენდუმის აღნობეს საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტმა, ქალაქის საბჭოს აღმასკომმა და აგროსამრეწველო გაერთიანებამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილს პლენუმის გადაწყვეტილებებისა და სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მრავალ სხდომაზე განიხილა და მოიწონა რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის გარდაქმნის ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ მისი, როგორც ერთიანი მთელის, დაგეგმვის, დაფინანსებისა და მართვის განხორციელებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების, გადამამუშავებელი მრეწველობისა და მომსახურე დარგების უფრო სრული ინტეგრაციის უზრუნველყოფას დიდი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის.

განიხილა რა ძირითად სახელმძღვანელო მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვის 1985 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს აღნიშნა, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მეცადინეობის მეოხებით სახალხო მეურნეობის ბევრმა დარგმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა არსებითად შეამცირეს სთბობისა და ელექტროენერგიის მოხმარება, რამაც მათ შესაძლებლობა მისცა ორ დღეს ემუშავთ დაზოგილი რესურსებით.

ამავე დროს იმ საწარმოთა ხელმძღვანელებისა და პარტიული კომიტეტების ყურადღება, რომლებიც ვერ ასრულებენ საბობოსა და ელექტროენერგიის დაზოგვის დავალებებს, მიაყარეს იმის, რომ საჭიროა მკაცრი პრინციპული პასუხისმგებლობა დააყენონ თანამდებობის პირებს, რომლებიც ენერგიის ეფექტიანად, მფლანგველურ გამოყენებას.

სოფლისა და დაუსწრებელი სკოლების მუშაობის განხილვის დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს აღინიშნა, რომ უხეში დარღვევები მათ დაკმაყოფილებაში, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის დაბალი დონე ბევრად არის განპირობებული ამ საკითხებისადმი სამინისტროს ხელმძღვანელობის უპრინციპო, არაკონკურენტული დამოკიდებულებით.

აღინიშნა რა სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები მუშაობაში ახალგაზრდობის საშუალო განათლების დაყენებაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მუშაობა საღამოსა და დაუსწრებელი საშუალო სკოლების ხელმძღვანელობისათვის არადამაყოფილებლად ცნო.

ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი პრესაში გამოქვეყნდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ერთად მიღებულია გადაწყვეტილება შეჯამდეს საბჭოთა-სამეურნეო საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის 1985 წლის შედეგები და მოეწყოს საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და სამეურნეოთაშორისო საწარმოებში (ორგანიზაციებში).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მეკაცრი შეფასება მისცა საქართველოს მსატვართა კავშირის სამხატვრო ფონდში საფინანსო დისციპლინის უხეში დარღვევების ფაქტებს და მათ ხელმძღვანელებს მოსთხოვა განაზორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი სამხატვრო ფონდის საფინანსო-სამეურნეო და შემოქმედებითი საქმიანობაში ჯეროვანი სახელმწიფო წესრიგის უზრუნველყოფისათვის.

უყაირათობისა და უპასუხისმგებლობისათვის, რასაც მოჰყვა სამხატვრო ფონდის მატან ძმიმე ფინანსური მდგომარეობა, გამამაწყნარებელ კომისიათა ფორმალური მუშაობა, კადრების არასწორი შერჩევისა და განაწყენებისათვის სკკ წევრი, სამხატვრო ფონდის დირექტორი ამხ. ფ. ლორთკიფანიძე მოხსნილია თანამდებობიდან და გამოეცხადა სასტიკი საყვედური საორიგინალო ბარათში შეტანით.

სამხატვრო ფონდის სუსტი ხელმძღვანელობისა თ ვ ი ს, რასაც მოჰყვა უხეში დარღვევები მის საქმიანობაში, სკკ წევრს, სამხატვრო ფონდის გამგრობის თავმჯდომარეს ამხ. გ. გუნთას გამოეცხადა სასტიკი საყვედური საორიგინალო ბარათში შეტანით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განხილა სტუდენტ ახალგაზრდობაში კომპარტიულ-ორგანიზაციებზე ინსტრუქციის დაკეთილი ნაკლოვანებანი, რათა უზრუნველყონ სახელმწიფო დავალებებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებული, რეალიზაცია სადრეკტეო ორგანოების გადაწყვეტილებათა უფრო შესრულებისადმი ორგანიზაციულ-ტექნიკური გაძლიერების, აღმზრდელობითი მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის, შრომისა და საწარმოო დისციპლინის, გამმტკიცების, სისტემის ორგანიზაციათა ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების გზით.

მოისმინეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის ამხ. ბ. მაყაშვილის ანგარიში მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობისათვის დარგის მზადყოფნის შესახებ. აღინიშნა, რომ სამინისტროს სრულად ვერ გამოიყენა მოსამზადებელი პერიოდის შესაძლებლობანი, იმისათვის რომ აემაღლებინა გაერთიანებებისა და საწარმოების ტექნიკურ-ხელმძღვანელობის დონე, განმტკიცებინა სახელმწიფო და ტექნოლოგიური დისციპლინა, გაეძლიერებინა ყველა სამსახურისა და რგოლის პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგებისათვის. სამინისტროს ხელმძღვანელობას წინადადება მიეცა ყოველნაირად დაჩქარეს ეკონომიკური, ორგანიზაციული, სოციალური და სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ დარგის გადაყვანას ინტენსიური განვითარების გზაზე.

განიხილა რა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხ. გ. გეგეჭკორის ინფორმაცია „მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის პროცესში რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ავტორიტეტისა და აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციის მიმდინარეობის თაობაზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ ხაზი გაუსვა, რომ, გაწეული მუშაობის მიუხედავად, შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სერიოზული / ნაკლოვანებანი, მშრომელთა მიმართვებისადმი ფორმალური, ულესკული დამოკიდებულების ფაქტები. სამინისტროს ხელმძღვანელობას და პარტიულ კომიტეტს წინადადება მიეცათ განაბორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესონ ცენტრალური აპარატის სამსახურების, შინაგან საქმეთა სამმართველოებისა და განყოფილებების შუამავლ მოქალაქეთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე, მკაცრი, პრინციპული შეფასება მისცენ საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის ყოველ გამოვლინებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე მიიღეს გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების სხვა საკითხებზეც.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანა: პასუხსაგებ მოვლების წინ

დიდი მოვლენა ახლოვდება საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხანის“ კოლექტივის ცხოვრებაში. მიმდინარე წლის დამლევისათვის დამპროექტებლებმა, მშენებლებმა, მემონტაჟეებმა, ექსპლოატაციის მუშაკმა ქვეყანას უნდა უპასუხონ: „პარტიის დავალება შესრულებულია. ქუთაისის საავტომობილო ქარხანა დაამზადებს „ეაზ-4540“ მარკის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მნიშვნელოვან მეტ ახალ-ძძლავრ სატვირთო ავტომობილებს, „გაზ-8535“ მისაბმელსა და მათ „იამზ-642“ დიზელის ძრავებს“.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში დამამთავრებელ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მიმდინარეობის, ასამუშავებელი პროიოდისათვის მზადების საკითხი განხილეს გაფაფრთოებულ თათბირზე, რომელიც 8 დეკემბრის ჟამიერთა გაერთიანებაში. თათბირში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ნ. პატაკაშვილი, სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის მინისტრი ვ. ნ. პოლიაკოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლ. ქართველიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლაკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. ბარამიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ვადაჭკორავი, სკკს ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ფ. პოლუტავენი, სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე ი. ბ. ლოსევი, მინისტრების მოადგილეები — სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობისა — ე. ფ. ტარანენკო, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოებისა — ზ. ს. სადრადინოვი, სსრ კავშირის ჩაბსაშენებელი და სანსტრუმენტო მრეწველობისა — ვ. მ. ვოლკოდონი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, რესპუბლიკისა და ქალაქ ქუთაისის სხვა პასუხისმგებელი სამეურნეო და პარტიული მუშაკები, მთელი რიგი რესპუბლიკური სამინისტროებისა და წარმოო ერთეულების ხელმძღვანელები.

ინფორმაციები გააკეთეს საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის“ კოლექტივის ცხოვრებისა. მიმდინარე წლის დამლევისათვის დამპროექტებლებმა, მშენებლებმა, მემონტაჟეებმა, ექსპლოატაციის მუშაკმა ქვეყანას უნდა უპასუხონ: „პარტიის დავალება შესრულებულია. ქუთაისის საავტომობილო ქარხანა დაამზადებს „ეაზ-4540“ მარკის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მნიშვნელოვან მეტ ახალ-ძძლავრ სატვირთო ავტომობილებს, „გაზ-8535“ მისაბმელსა და მათ „იამზ-642“ დიზელის ძრავებს“.

თათბირზე გამოვიდა ამხანაგი ვ. ნ. პოლიაკოვი.

თათბირის შედეგები შეაჯამა ამხანაგმა ჯ. ნ. პატაკაშვილმა.

თათბირმა აღნიშნა, რომ სერიოზული მუშობა გასწიეს მშენებლებმა, მემონტაჟეებმა, თვით გაერთიანების კოლექტივმა და სხვა ორგანიზაციებმა მშენებლობისა და მოწყობილობის დამონტაჟებისათვის, ახალ სამძლავრეთა ამოქმედებისათვის. ვადამდე გადაეცა საექსპლოატაციოდ პლატფორმების, კაბინების ასაწყობი კონვეიერები, გასასახმარისებელი სტენდები, ავტოგადგეტის მთელი რიგი ავტომატური ხაზები, წნეხები და ძარასაწნეხი კორპუსის უბნები, სარეცხსაშრობი ავტოგადგეტ, ბეერი სხვა ძირითადი და დამხმარე ობიექტი.

ახალი ზამქროები და უბნები დაკომპლექტებულია მუშათა და სპეციალისტთა კადრებით. სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტრომ დადებითად გადაწყვეტა ქარხნის ავტომტკმოსახურების სამსახურის ფუნქციონირების, დეტალების ატესტაციის საკითხი.

მოკლე ვადაში ერთიორად გაზარდა რა მშენებლობაზე გაგზავნილ სპეციალისტთა რიცხვი, სსრ კავშირის ჩარხშენებლობის მრეწველობის სამინისტრომ გაამლიერა მოწყობილობის გამართვის სამუშაოები.

წარმატება მიღწეულია იმის მეობებთ, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები გადაყვანილია ინტენსიურ მეთოდებზე, განმტკიცდა შრომის დისციპლინა.

ქალაქისა და საწარმოს პარტიულმა კომიტეტებმა გაამლიერეს ყურადღება საექსპლოატაციოდ გადასაცემი კომპლექსისადმი, დარაზმეს მშრომელები დიდი საბოლოო შედეგის მიღწევებისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოების სისტემის სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი (საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი) საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ხილბოსტეულოვნების მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ყვავის მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე და შესაბამისად გაუქმდეს ისინი.

2. გარდაეძნას საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო საქართველოს სსრ პუროროდუქტების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროდ.

3. შეტანილ იქნეს „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1978 წლის 21 დეკემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 12, მუხ. 253; 1981 წ., № 2, მუხ. 30, № 13, მუხ. 302; 1983 წ., № 3, მუხ. 76, № 4, მუხ. 113; 1984 წ., № 11, მუხ. 363) შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო“, „საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო“, „საქართველოს სსრ ყვავის მრეწველობის სამინისტრო“, „საქართველოს სსრ ხილბოსტეულის მეურნეობის სამინისტრო“.

მეხლს სიტყვების „საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს სსრ პუროროდუქტების სამინისტრო“;

2/27-ე მუხლში:

ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი“, „საქართველოს სსრ ხალის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი“, „საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი“;

სიტყვების „საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განაბორციელოს ამ ბრძანებულებიდან გამომდინარე სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 11 დეკემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ო. გ. ვარძელაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დანიშნოს ამხ. ომარ გიორგის ძე ვარძელაშვილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარედ და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 11 დეკემბერი.

ომარ გიორგის ძე ვარძელაშვილი დაიბადა 1933 წელს, ქართველი, სკკ წევრია 1960 წლიდან. განათლებით აგრონომი, საგარეო ვაჭრობის ეკონომისტი. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტი.

შრომითი საქმიანობა ამხ. ო. გ. ვარძელაშვილმა დაიწყო 1956 წელს ქობულეთის რაიონის მუხანესტატეს საბჭოთა მეურნეობის აგრონომოსოფილად მმართველად. 1957 წელს იგი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის აგრონომ-ინსპექტორია. ორი წლის შემდეგ იგი დაამტკიცეს საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორად.

1963 წელს ამხ. ო. გ. ვარძელაშვილი დაინიშნა ბალის რესუბლიკაში სსრ კავშირის საავტო წარმომადგენლობის უფროს ინჟინრად. ერთი წლის შემდეგ იგი გადაიყვანეს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საგარეო-საავტო გაერთიანება „საცხილმპორტის“ ინჟინრად. 1968 წელს იგი „საცხილვაჭრობის“ კანტორის დირექტორის მოადგილეა, ხოლო ორი წლის შემდეგ — ლიბანში სსრ კავშირის საავტო წარმომადგენლობის უფროსი ინჟინერი. 1973 წელს იგი დაამტკიცეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობის, საგეგმო და სფინანსო ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ.

1973 წელს ამხ. ო. გ. ვარძელაშვილს ირჩევენ საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო ერთი წლის შემდეგ ამტკიცებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ.

1980 წლიდან დღემდე ამხ. ო. გ. ვარძელაშვილი მუშაობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარედ.

ამხ. ვარძელაშვილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

(საქინფორმი).

სურათზე: საუბრის დაწყების წინ.
საკადრს.-საქინფორმის ტელეფოტო.

მ. ს. გორბაჩოვი ესაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრს

10 დეკემბერს სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრი მ. ბოლდრიჯი, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს IX წლიურ კრებაში მონაწილეობისათვის, და ეს აუბრა მას. საუბარში მონაწილეობდნენ სსკ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ბ. ი. არსენეული, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ა. ჰარტმანი და ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ბ. სმარტი.

საუბრის დროს მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის შეხვედრას, უწინარეს ყოვლისა, იმ შესაძლებლობათა თვალსაზრისით, რომელსაც იგი სახავს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ნორმალიზაციისა და საერთაშორისო ვითარების საერთო გაჯანსაღებისათვის. ამავე დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ თუმცა ჯერ მზოლოდ პირველი ნაბიჯები გადადგა, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს კი აკისრებენ დიდი უთანხმოებანი აქვთ. განსაკუთრებით უშიშროების ძირეულ საკითხებში, მაგრამ შეხვედრის საერთო შედეგი მაინც დადებითია. მთავარია, რომ დასაბამი მიეცა წლების მანძილზე დაგროვებული აფეთქებასაშიში და მწვავე პრობლემების განხილვას, რომლებიც დროა დაძაბას მკვდარი წერტილიდან. რა თქმა უნდა, ყოველივე იმის ნამდვილი მნიშვნელობა, რაც ჟენევაში დაითქვა, შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ პრაქტიკული პოლიტიკით.

რაც შეეხება საბჭოთა მხარეს, იგი მთელი სერიოზულობით ეკიდება ჟენევაში მიღწეულ მორიგებებს და ეცდება გააუმჯობესოს არა მარტო საერთო ატმოსფერო, არამედ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შინაარსიც ერთმანეთის პატივისცემისა და სრული თანასწორუფლებიანობის საწყისებზე, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. სსრ კავშირი მზად არის შეერთებულ შტატებთან პატიოსანი ურთიერთმოქმედების სულისკვეთებით იღებოდეს გამაძლებული შეიარაღების შეკვეცისათვის, „ოცმოსში“ მისი დაფშვავებლის პირობით, მიაღწიოს მსოფლიო ვითარების გაუმჯობესებას. ასეთსავე მიდგომას ელოდა ამერიკის შეერთებული შტატებიც.

ყოველივე ეს, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, სავსებით ეხება საავაჭრო-ეკონომიკურ სფეროსაც. საბჭოთა კავშირი მთელი სერიოზულობით ეკიდება ჟენევის შეხვედრის შესახებ ერთობლივ განცხადებაში დფიქსირებულ ორივე მხარის ვაჭრობის განვითარონ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობა. სამწუხაროდ, ამ დარგში შექმნილ საქმის ვითარებას ვერ უწოდებ დამაკმაყოფილებელს. მიზეზი კარგად არის ცნობილი — ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების დისკრიმინაციული პოლიტიკა. მისი ცდილი ბა ავარიბა გამოიყენოს სსრ-კავშირზე პოლიტიკური ზეგავლენის იარაღად.

მაგრამ, ცხადია, რომ ასეთმა პოლიტიკამ დრო მოუსაა.

საბჭოთა კავშირი, ხაზი გაუსვა მ. ს. გორბაჩოვმა, სამიდან ერთ-ერთ ეფექტიანი პარტნორია, ჩვენი ბაზრის პოტენციური შესაძლებლობანი დიდია, განსაკუთრებით ახლა, როცა ჩვენში ქვეყნის დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უდიდესი ამოცანები წყდება. ჩვენმა საავაჭრო პარტნორებმა სხვა ქვეყნებში კარგად იციან ეს და იყენებენ ამ შესაძლებლობებს ისე, რომ საკმაო სარგებელი ნახონ ამაში.

მ. ს. გორბაჩოვმა ქმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეები, როგორც ამას მოწმობს, ეკონომ, ამერიკა-საბჭოთა კავშირის საავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს სხდომა, ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობის გფფართოებისადმი. ამ მხრივ მათ სრული გაგებით მოეკიდებიან ჩვენი შესაბამისი ორგანიზაციები. არის იმის მნიშვნელოვანი პოტენციური შესაძლებლობანი, რომ ფართო მასშტაბის გრძელვადიანი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა დამყარდეს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ახლა საქმე ამერიკის მხარეზეა დამოკიდებული.

მ. ბოლდრიჯმა ზოგადი ფორმით განაცხადა, რომ უნდა განვითარდეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ვაჭრობა, განსაკუთრებით ჟენევაში შეხვედრის შემდეგ, და დაადასტურა, რომ ამერიკის საქმიანი წრეები დაინტერესებული არიან ამით. ამავე დროს მან მოიძიზეა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისა და კონგრესის მიერ შემოღებული შეზღუდვები, რომლებიც აბრკოლებენ სსრ კავშირთან საავაჭრო ურთიერთობის განვითარებას.

საუბრის დროს განახილეს აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ზოგიერთი სხვა ასპექტი.

• • •

იმავე დღეს მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში სადილი გამართა ამერიკა-საბჭოთა კავშირის საავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს ოფიციალურ მოსკოვში მოწყობის გამო.

სადილად იყვნენ სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრი საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი და სხვა ოფიციალური პირნი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

სადილზე, რომელშაც მეგობრული ვითარებაში ჩაიარა, მ. ს. გორბაჩოვმა და მ. ბოლდრიჯმა სიტყვები წარმოთქვეს. დამსწრეთ ისინი დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

(საკადსი).

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა მ. შ. მესადიას

11 დეკემბერს სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მუდმივი სამდივნოს ხელმძღვანელი მ. შ. მესადია, რომელიც მოსკოვში ჩამოუფრენია ალჟირის პარტიულ დელეგაციას.

მ. შ. მესადიამ მ. ს. გორბაჩოვს გადასცა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის გენერალური მდივნის შ. ბენჯედიდის წერილი.

ამხანაგური საუბრის დროს განხილეს საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირ-ალჟირის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი. აღნიშნეს, რომ წარმატებით ვითარდება სსრ კავშირისა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ეროვნული განთავისუფლ ებ ი ს ფრონტის პარტიის მეგობრული თანამშრომლობა, რომ ერთმანეთს ემთხვევა ან უახლოვდება მათი პოზიციები თანამედროვეობის კარდინალურ პრობლემებში. საბჭოთა კავშირი და ალჟირი იბრძვიან ნეიტრალიზმის, ანტიიმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, იღვწიან კოსმოსში გამაღებული შეიარაღების თავიდან აცილებისა და დედამიწაზე მისი შეწყვეტისათვის, სამართლიანი საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობისა და რეგიონალური კონფლიქტ ებ ი ს გადაწყვეტისათვის ხალხთა კანონიერი ეროვნული უფლებების უზრუნველყოფის საფუძველზე. მხარეებმა დაადასტურეს, რომ ესწრაფვიან კიდევ უფრო განამტკიცონ საბჭოთა კავშირ-ალჟირის თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში.

საუბარში მონაწილეობდა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი. ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

(საკადსი).

მპლა — შრომის პარტიის თავმჯდომარეს, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ეოზე ედუარდუ დუშ სანტუშს

ძვირფასო ამხანაგო ეოზე ედუარდუ დუშ სანტუშ!

გულითადად გილოცავთ მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარის საპატიო და პასუხსაგებ პოსტზე ხელახლა არჩევას.

მპლა-შრომის პარტიის ეს-ეს არის დამთავრებულმა II ყრილობამ ცხადყო, რომ ანგოლელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას რევოლუციური მონაპოვრები, იაროს წინ დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის გზით.

ნება მიბოძეთ, თქვენ - და თქვენი სახით მპლა-შრომის პარტიის ყველა წევრს ვუსურვო ახალი წარმატებანი ამ გზაზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ადამიანები კვლავაც განუხრელად დაუჭერენ მხარს ანგოლის სამართლიან საქმეს.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და პირად ეთილდღეობას.

ძმური სალმით

მ. გორბაჩოვი.

XXVII ყრილობის მოსახალისებლად

პარტიული ცხოვრება:
ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პარტიულ კონფერენციაზე

წმიდათაწმიდა მოვალეობის შესასრულებლად

ყოველი მეოთხე ამიერკავკასიელი მესაზღვრე საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი, ყოველი მესამე საზღვრის გუშაგი მაღალი კლასის სპეციალისტია. სამშობლოს სამხრეთის საზღვრების დაცვის წმიდათაწმიდა მოვალეობის შესრულებისათვის დიდი პასუხისმგებლობის ეს მაგალითები დაასახელეს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის მეათე საოლქო პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც თბილისში გაიმართა.

ოლქის ჯარების უფროსის, გენერალ-ლეიტენანტის გ. ა. ზგირსკის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ბ. ვ. ნიკოლსკის მოხსენებებში, კონფერენციის დელეგატთა გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამიერკავკასიის მესაზღვრეები მხურვალედ უჭერენ მხარს და იწონებენ სკპ ცენტრალური კომიტე-

...

ლოგიურად მავნე ლიტერატურა და კონტრაბანდა ამოიღეს,—უდიდესი წვლილი მიუძღვით კომუნისტებს, პოლიტმუშაკებს, პარტიულ ორგანიზაციებს.

მესაზღვრეები ნიადაგ გრძნობენ ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და კრასნოდარის მხარის ადგილობრივი, პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოების დახმარებას. ამ დახმარების გამოხატულებაა საზღვრისპირეთის მცხოვრებთა ჩაბმა აქტიურ მონაწილეობაში საზღვრის დასაცავად, პირადი შემადგენლობის ყოფა-ცხოვრების ბევრი საკითხის გადაწყვეტაში, საშეფო მუშაობაში, „სსრ კავშირის

...

რებას გამომგონებლობასა და რაციონალიზატორულ მუშაობაში. კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს პირადი შემადგენლობის სამსახურებრივი მომზადების დონე, გაუმჯობესდეს მესაზღვრეთა საბრძოლო სწავლების ორგანიზაცია, მათი ფიზიკური წრთობა.

სწორედ ამიტომ დეტალურად გააანალიზეს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია, რომელიც წელს ოლქში მოეწყო დევიზით — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავს, სკპ XXVII ყრილობას — ჩვენი თავდადებული მხედრული შრომა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის საიმედო დაცვისათვის“. შეჯიბრების დროს

...

ჯარებში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ხელშემწყობი პირობებია შექმნილი ამ მიმართულებით მუშაობისათვის, სუფევს დიდი პატრიოტული აღმავლობის, საქმიანი მიდგომის, ურთიერთმომთხოვნელობის ატმოსფერო, ეს გარემოება კიდევ უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მხედრული დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, პირადი შემადგენლობის პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობის დონის ამაღლებისათვის.

სამსახურებრივი საქმიანობის სრულყოფაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის იდეოლოგიურ, პოლიტიკურ-აღმზრდელობით

...

„სახელმწიფო საზღვრის“ კანონის მოთხოვნების განხორციელებაში. ამიტომ დელეგატებმა ოლქის ყველა კომუნისტის, მთელი პირადი შემადგენლობის სახელით მადლობა მოახსენეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტია-

მომზადდა ბევრი წარჩინებული ქვეგანაყოფი, ხომალდი.

პასუხსაგები ამოცანების წარმატებით შესრულება შეუძლებელია, თუ ჯარებში არ იქნა მკაცრი დისციპლინა, წესრიგი და ორგანიზებულობა.

მუშაობას, რომლის ყველა მხარეც განიხილეს კონფერენციაზე. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა, დიფერენცირებულად ვუდგებოდეთ ადამიანებს, ვითვალისწინებდეთ მათ ინტერესებს, სულიერ მოთხოვნებს.

...

გრძნობით ასრულებენ პარტიულ და სამსახურებრივ მოვალეობას, დაასახელეს ნ. დ. არმეისკი, ვ. ი. მაკარენკო, შ. პ. უმიტაძე, გ. გ. ხაბიბულინი და მრავალი სხვა.

გომ გადიდებას პირადი შემადგენლობის საბრძოლო გაწვრთნილობისა და პოლიტიკური მომზადების სრულყოფაში, საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერებასა და დისციპლინის განმტკიცებაში მათი როლის გაზრდას.

(საქინფორმი).

კრემლში მსაუბრნენ საზღვარგარეთელ მინისტრებს

10 დეკემბერს სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ კრემლში მიიღო რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი, გენერალ-პოლკოვნიკი კ. ოლტეანუ, რომელიც ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფება საბჭოთა კავშირში.

საუბრის დროს ორივე მხარემ განაცხადა, რომ შეუნელებლად და სტაბილურად ვითარდება საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობა 1970 წლის 7 ივლისის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების საფუძველზე.

ორივე მხარემ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მ. ს. გორბაჩოვისა და ნ. ჩაუშესკუს შეხვედრებს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის თანამშრომლობის ყოველმხრივი გაღრმავებისათვის. განაცხადეს, რომ ორივე ქვეყანა ისწრაფვის გააფართოონ და გააღრმაონ სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ურთიერთობა ყველა დარგში, გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სამოკავშირეო ურთიერთობის განმტკიცება, როგორც ორმხრივ საფუძველზე, ისე ვარშავის ხელშეკრულების ფარგლებში, მათი ხალხების უშიშროების საიმედო გარანტია იქნება.

გამოითქვა რწმენა, რომ საჭიროა სრულყონ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრთა თანამშრომლობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ბაზაზე ამ ორგანიზაციის მონაწილე სახელმწიფოების წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებისათვის, რათა გადაჭრან მათი ხალხების ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების ამოცანები.

საუბარში, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობდა სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ლ. სოკოლოვი.

* * *

ამავე დღეს ა. ა. გრომიკომ კრემლში მიიღო ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ო. სეტუბალი და მოგზაურობაში მისი თანმხლები პირნი.

საუბრის დროს, რომელმაც კონსტრუქციულ და საქმიან ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებასთან დაკავშირებული პრობლემები, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ბრაზილიის ურთიერთობის საკითხები.

საბჭოთა მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რ. რეიგანთან სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ჟენევის შეხვედრის შედეგად შექმნილი სასიკეთო შესაძლებლობების გამოყენებას კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისა და დედამიწაზე მისი შეწყვეტისათვის. ამასთან დაკავშირებით ორივე მხარემ აღნიშნა, თუ რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მიღწეულ ურთიერთგაგებას ბირთვული ომის დაუშვებლობის შესახებ, აგრეთვე იმას, რომ უმაღლეს დონეზე დადასტურდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის 1985 წლის 8 იანვრის მორიგება იმის თაობაზე, რომ ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ ჟენევის მოლაპარაკების ერთ-ერთი მიზანი უნდა იყოს კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილება.

ა. ა. გრომიკომ გამოთქვა კმაყოფილება სსრ კავშირისა და ბრაზილიის ურთიერთობის მდგომარეობისა და განვითარების გამო და დიდი შეფასება მისცა პოლიტიკური კონტაქტების პრაქტიკას, რომელიც მტკიცდება და ფართოვდება. ორი ქვეყნის ხალხთა ურთიერთგაგების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პარლამენტის დელეგაციების გაცვლას.

ო. სეტუბალმა თქვა, რომ ბრაზილია მხარს უჭერს მშვიდობის განმტკიცებას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. მან საჭიროდ მიიჩნია გაფართოვდეს ბრაზილიისა და სსრ კავშირის ურთიერთობა, რომელსაც მეგობრული ხასიათი აქვს.

ა. გრომიკომ ო. სეტუბალის მეშვეობით ბრაზილიის პრეზიდენტი ჟ. სარნეი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მოიწვია საბჭოთა კავშირში. ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მადლობა გადაიხადა მოწვევისათვის და თქვა, რომ იგი აცნობებს ამას პრეზიდენტს.

საუბარში მონაწილეობდა სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი.

(საკდესი).

სკპ XXVII ყრილობის შესახვედრად

განვიხილავთ პარტიის ყრილობისწინა დოკუმენტებს

წინ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიმართულებით. გაერთიანების ხელმძღვანელთა მუდმივი ძალისხმევით ამაღლდა პროდუქციის ტექნიკური დონე. საერთოდ, უკანასკნელ თხუთმეტწლეულში აქ აითვისეს 45 მოდელისა და მოდიფიკაციის ჩარხები. ისინი გამოირჩევა შედარებით დიდი მწარმოებლობით, ნაკლებ მასალატევადობით და უკეთესი საექსპლოატაციო თვისებებით. მათ შორის გახლავთ რიცხვული და ადაპტური მართვის სახარატო ჩარხები.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს გ. ჯიქიძეს და სთხოვა მას მოეთხრო მკითხველისათვის, როგორი ამოცანები უნდა გადა-

...

ჩარხების კონკურენტუნარიანობისათვის

...

საოჯახო იჯარა მთაში

...

საუბარს უძღვებოდა
• გ. ნოდია.

მიღება კრემლში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა 10 დეკემბერს მიიღო ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს ხელმძღვანელები, რომლებიც მოსკოვში იმყოფებიან საბჭოს IX წლიური სხდომის მოწყობასთან დაკავშირებით.

გაიმართა საფუძვლიანი აზრთა გაზიარება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საკითხებზე, ამასთან განსაკუთრებით დაწვრილებით გააშუქეს ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები.

ნ. ი. რიჟკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა შეხვედრამ, რომელიც ჟენევაში გაიმართა, დასახა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ნორმალიზაციისა და საერთაშორისო ვითარების ზოგადი გაჯანსაღების შესაძლებლობანი. ამავე დროს ჟენევის შეხვედრის პოზიტიური პოტენციალის რეალიზაციისათვის საჭიროა ორივე მხარის პრაქტიკული მიზანმიმართული მოქმედება.

ეს, თქვა ნ. ი. რიჟკოვმა, მთლიანად ეხება ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის სფეროსაც, რომელიც უნდა ემყარებოდეს თანასწორობისა და ნაცვალგების საწყისებს. დღესდღეობით ამ ურთიერთობის ხასიათი და მოცულობა არ შეესაბამება არსებულ შესაძლებლობებს. ამის მიზეზია დისკრიმინაციული სავაჭრო პოლიტიკა, რომელსაც შეერთებული შტატები ახორციელებს და რომელიც სულ უფრო აშკარად ამჟღავნებს თავის უსუსურობას.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება ორივე ქვეყნის ინტერესებს შეესაბამება. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკურ საბჭოს — ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეებისა და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციების გაერთიანებას, რომელიც ასეთი თანამშრომლობის მოსაგვარებლად იღვწის.

11 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა კრემლში მიიღო ამერიკის საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენელი, „ოქსიდენტალ პეტროლეუმის“ კომპანიის პრეზიდენტი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე არმანდ ჰამერი, რომელიც მოსკოვში იმყოფება ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს IX წლიური სხდომის მოწყობასთან დაკავშირებით.

საუბრის დროს ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჟენევის უმაღლესი დონის შეხვედრას საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის, მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნის თვალსაზრისით. მაგრამ ამ მხრივ, როგორც აღნიშნა ნ. ი. რიჟკოვმა, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი და, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღმოიფხვრას ამერიკის მხარის მიერ შექმნილი დაბრკოლებანი სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ნორმალური განვითარების გზაზე. ამ საკითხებში საბჭოთა კავშირის პოზიცია, რომელსაც კონსტრუქციული ხასიათი აქვს, დაწვრილებით იყო ჩამოყალიბებული სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ 10 დეკემბერს ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს წლიური კრების მონაწილეთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში.

ა. ჰამერმა აღნიშნა, რომ იზრდება ამერიკის საქმიანი წრეების დაინტერესება საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის ნორმალიზაციითა და გაფართოებით, რაც გამოვლინდა ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს ახლანდელ სხდომაზეც.

იგი აგრეთვე შეეხო მთელ რიგ კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება საბჭოთა ორგანიზაციებისა და იმ კომპანიის თანამშრომლობის განვითარებას, რომელსაც იგი უდგას სათავეში. (საკდესი).

სასკოლო რეფორმა მოქმედებს

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ გორის რაიონის ძევერის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში ჩამოყალიბდა კიდევ ერთი მეხილეობის მეურნეობა-სკოლის საბჭოთა მეურნეობა. 120 უფროსკლასელი ოთხ საწარმოო ბრიგადაშია გაერთიანებული.

ზაფხულობით მოსწავლეები საბჭოთა მეურნეობის ბაღებში შრომობენ, სწავლის დროს კი კვირაში ერთ დღეს მუშაობენ მეურნეობის ნაკვეთებში, სახელოსნოებში.

მეხილეთა ნორჩ თანაშემწეებს ზრუნვა და ყურადღება არ აკლიათ.

სურათზე: (მარცხნიდან) — ქეთინო ჯოლბორდი, ხათუნა ხმიადაშვილი, მანანა და მაგული ლომსაძეები, თამრიკო და ნაზი ჯოლბორდები.

ლ. გუსოვის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საზოგადოებრიობის კრებები

10 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა საზოგადოებრიობის კრება, რომელიც ადამიანის უფლებათა დღეს მიეძღვნა. გამოსვლებში აღინიშნა, რომ ახლა, როდესაც ყველაზე რეაქციული იმპერიალისტური წრეები მსოფლიოს ბირთვული კატასტროფის უფსკრულში გადაჩეხვას უპირებენ, კაცობრიობის პროგრესისათვის ბრძოლა განუყრელად უკავშირდება ადამიანთა ძირითადი უფლების — სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფისათვის ბრძოლას.

კრებაზე წაიკითხეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ხ. პერეს დე კუელიარის წერილი. ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გაეგზავნა, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საბჭოთა კავშირში ადამიანისა და მოქალაქის უფლებები კონსტიტუციურად არის დამკვიდრებული და ნამდვილად ხორციელდება. კრების მონაწილეებმა განაცხადეს, რომ საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც შეიტანონ თავიანთი წვლილი ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის განმტკიცებაში.

ადამიანის უფლებათა დღისადმი მიძღვნილი კრებები გაიმართა აგრეთვე კიევსა და მინსკში. (საქდესი).

აღმასკომებს რჩევა მიეცათ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

რა უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ გაძლიერდეს ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა, საერთოდ აღიკვეთოს ისინი? რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად? ამ და სხვა კითხვებს ნაწილობრივ გაეცა პასუხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის მორიგ სხდომაზე. მისმა მონაწილეებმა განიხილეს სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების საქმიანობა საკანონმდებლო მოთხოვნების დასაცავად.

დეპუტატებმა აღნიშნეს კომისიების მიერ გაწეული მუშაობა, ამასთან ყურადღება გაამახვილეს არსებითს ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე, რომლებიც აქ ჯერ არ აღმოფხვრილა. დაასახელეს კონკრეტული ფაქტები როდესაც კომისიები არ იცავენ საქმეების განხილვის ვადებს, ურიგდებიან ყოვლად გაუმართლებელ გაჭიანურებას, უხეშად არღვევენ მოთხოვნებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მოქალაქეთა მიცემის შესახებ. სათანადო დონეზე არ იწევენ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელსაც დღის ასჯამს სუსტი კონტაქტები აღმასკომების შესაბამის კომისიებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და შრომითს კოლექტივებთან.

მიღებულ დადგენილებაში რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს რჩევა მიეცათ შეიმუშაონ და განახორციელონ დამატებითი ღონისძიებები ადმინისტრაციული კომისიების საქმიანობისადმი კონტროლის გასაძლიერებლად და ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად. მათ კომისიები უნდა უზრუნველყონ ყოველდღიური პრაქტიკული და მეთოდიკური დახმარებით, განაზოგადონ და პროპაგანდა გაუწიონ მოწინავე გამოცდილებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადმინისტრაციული კომისიების როლის გაძლიერებას აღმზრდელობითი, პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციასა და მოწყობაში, სამართალდარღვევათა ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენასა და აღმოფხვრაში.

შესაბამისი რჩევა მიეცათ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებს, საქართველოს სსრ პროკურატურას.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საკითხი თბილისის გლდანის რაიონში ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების კანონმდებლობის მოთხოვნების უხეშ დარღვევათა შესახებ. (საქინფორმი).

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

11 დეკემბერი ● საქდესი იუწყება

უშიშროების საბჭოში

საჭიროა ეფექტიანი ღონისძიებები

ნიკარაგუის წინააღმდეგ ამერიკის აგრესიის აღსაკვეთად

ნიუ-იორკი. ნიკარაგუის მთავრობის თხოვნით მოიწვიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სასწრაფო სხდომა ნიკარაგუის წინააღმდეგ შეერთებული შტატების აგრესიის ესკალაციის შედეგად ცენტრალურ ამერიკაში შექმნილი მეტად სერიოზული ვითარების განსახილველად.

ეს აგრესია, რომლის მსვლელობაში ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაცია სულ უფრო დაუფარავად ცდილობს ნიკარაგუაში არსებული წყობილების შეცვლას, განაცხადა ნიკარაგუის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. უგო ტინოკომ, სულ უფრო საშიშ ხასიათს იძენს. იგი საფრთხეს უქმნის სტაბილურობას როგორც ცენტრალურ, ისე მთელ ლათინურ ამერიკაში. შეერთებული შტატების მთავრობა, ესწრაფვის ნიკარაგუელ ხალხს წაართვას თავდაცვის უფლება, დაიჩემოს ცენტრალურ ამერიკაში ჩარევის „უფლება".

ნიკარაგუის წარმომადგენელმა მოუწოდა საერთაშორისო გაერთიანებას ეფექტიანი ღონისძიებები განახორციელოს სახელმწიფო ტერორიზმისა და აგრესიის პოლიტიკის აღსაკვეთად, რომელიც საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობასა და უშიშროებას. ნიკარაგუელი ხალხი, აღნიშნა მან, მზად არის გაიღოს ნებისმიერი მსხვერპლი და საკადრისი პასუხი გასცეს ამერიკის იმპერიალიზმის ყოველგვარ ხრიკებს.

მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენლის ვ. უოლტერსის გამოსვლამ ცხადყო, რომ ვაშინგტონი წინანდებურად ნიკარაგუის საშინაო საქმეში ჩარევის, „კონტრასის" ბანდებისათვის ყოვლმხრივი დახმარების გაძლიერების გზას ადგას, ცდილობს ჩაშალოს რეგიონში პოლიტიკური მოწესრიგების პროცესი. მან კვლავ მიმართა აბსურდულ მონაჩმახს, თითქოს ცენტრალური ამერიკის ეს პატარა ქვეყანა, რომელსაც ამერიკის იმპერიალიზმმა თავს დაატეხა აგრესია, „საფრთხეს" უქმნიდეს ლამის მთელი დასავლეთ ნახევარსფეროს უშიშროებას. ამერიკის დელეგატის სიტყვა უხვად შეიცავდა აღვირახსნილ ცილისწამებას ნიკარაგუელი ხალხის მიმართ, რომელიც მედგრად იცავს სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

◆ ანგოლა

ყრილობა დამთავრდა

ლუანდა. ანგოლის საზოგადოების ცხოვრებაში პარტიის ავანგარდული როლის განმტკიცებით, ქვეყანაში სოციალიზმის საფუძვლების შესაქმნელად გამიზნული მისი სტრატეგიული გეზის რეალიზაციასთან დაკავშირებული დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებით დაამთავრა აქ მუშაობა მპლა-შრომის პარტიის II ყრილობამ.

მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარემ, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჟ. ე. დოშ სანტუშმა საბოლოო სიტყვაში პარტიის წევრებს მოუწოდა ღრმად შეისწავლონ მარქსისტულ-ლენინური თეორია, გააუმჯობესონ პარტიული მუშაობის მეთოდები და სტილი, გაზარდონ პოლიტიკური შეგნებულობა.

პრესა კალსტურებს

პენტაგონი ჩქარობს

ნიუ-იორკი. ვაშინგტონის მტკიცებას იმის თაობაზე, თითქოს მის მიერ განხორციელებული „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" მიზანი ბირთვულ იარაღზე სრული უარის თქმა იყოს, აქარწყლებს ამერიკის მხედრიონის პრაქტიკული ნაბიჯები.

როგორც გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი" იუწყება, „ვარსკვლავეთის ომების" გეგმების ხორცშესხმასთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალები ნორტონის ბაზაში (კალიფორნიის შტატი) სწრაფი ტემპით ამუშავებენ „მოწინავე სტრატეგიული სარაკეტო სისტემის" შექმნის მთავრობისეულ ზესაიდუმლო პროგრამას. **იგი ითვალისწინებს „ახალი ტიპის ბირთვული რაკეტებისა და ქობინების" შექმნას, რომლებსაც შეეძლებათ იმ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის „გარღვევა", რომელიც შეიძლება საბჭოთა კავშირმა შეიმუშაოს როგორც საპასუხო ღონისძიება ამერიკის შეერთებული შტატების ცდაზე მიაღწიოს სამხედრო უპირატესობას კოსმოსში.** „კრისჩენ საიენს მონიტორის" ცნობით, ამ პროგრამის ასიგნებანი ორჯერ გაიზარდა შარშანდელთან შედარებით და ახლა 169 მილიონ დოლარს შეადგენს. 1987 წელს კი ეს ასიგნებანი 215 მილიონ დოლარს მიაღწევს.

◆ ინგლის-აშშ

ორმხრივი კონსულტაციები

ლონდონი. აქ გაიმართა მოლაპარაკება დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს მ. ტეტჩერსა და შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჯ. შულცს შორის, რომელიც ერთი დღის ვიზიტად ჩამოვიდა ლონდონში. ინგლისის დედაქალაქში ჩასვლით დაიწყო ამერიკის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურის მოგზაურობა ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, რომლის დროსაც იგი, კერძოდ, მონაწილეობას მიიღებს ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბრიუსელის თათბირში.

როგორც პრემიერ-მინისტრის კანცელარიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ჯ. შულცთან მ. ტეტჩერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჯ. ჰაუს მოლაპარაკების დროს ყურადღება დაეთმო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობას საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის უმაღლესი დონის შეხვედრის შესაბამისად, მდგომარეობას შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში, ახლო აღმოსავლეთში შექმნილ სიტუაციას, ინგლის-ამერიკის ორმხრივ ურთიერთობას.

მაგრამ, როგორც ადგილობრივი პოლიტიკური მიმომხილველნი აღნიშნავენ, კონსულტაციების დღის წესრიგის მთავარი თემა გახდა ეგრეთ წოდებული ამერიკის „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა", რომლის მიზანია კოსმოსის მილიტარიზაცია.

◆ ლიბია

საპროტესტო მარში

ტრიპოლი. აქ გაიმართა მრავალათასიანი საპროტესტო მარში იმასთან დაკავშირებით, რომ იმპერიალიზმის და რეაქციის ძალები აგრესიას ამზადებენ ლიბიის ჯამაჰირიის წინააღმდეგ. საპროტესტო მარში მოეწყო სრულიად არაბთა სახალხო კონგრესის მუდმივი სამდივნოს ინიციატივით.

მიღებულ განცხადებაში მარშის მონაწილეებმა გულისწყრომით დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და ავიაციის მოქმედება ხმელთაშუა ზღვაში ლიბიის სანაპიროსთან, გამოთქვეს დიდი შეშფოთება იმის გამო, რომ ლიბია-ეგვიპტის საზღვარზე არ ცხრება დაძაბულობა. ეყრდნობა რა არაბული ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს, პროგრესული ძალების დახმარებას და მხარდაჭერას, ხაზგასმულია განცხადებაში, ლიბიელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი საკადრისი პასუხი გასცეს რეაქციისა და მისი წამქეზებლის — შეერთებული შტატების აგრესიულ ხრიკებს.

ფოტოფაქტი

ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ

გ ფ რ

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სულ უფრო ძლიერდება მედიცინის პროგრესულ წარმომადგენელთა მოძრაობის როლი, რომლებიც მშვიდობისა და განიარაღებისათვის იბრძვიან. საერთაშორისო ორგანიზაციის — „მსოფლიოს ექიმები ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის" — დასავლეთგერმანული სექცია ამჟამად სამი ათასზე მეტ წევრს აერთიანებს. ამას წინათ გამართულ ომისსაწინააღმდეგო კონგრესზე გულისწყრომით დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების „ვარსკვლავეთის ომების" გეგმები.

ეს სურათი გადაღებულია ვისბადენში გამართული დემონსტრაციის დროს, რომელიც ამ ფორუმის ფარგლებში მოეწყო. პლაკატებსა და ტრანსპარანტებზე წარწერილია: „მიუნხენის ექიმები ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ", „გადარჩენილებს მკვდრებისაც კი შეშურდებათ".

საქდესის ფოტო.

მოკლედ

◆ **ქაბული.** დემოკრატიული ავღანეთის უშიშროების ძალებმა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით ქაბულისა და ურუსგანის პროვინციებში გაანადგურეს ბევრი ბანდიტი, ხელთ იგდეს სარაკეტო და საარტილერიო იარაღი, საბრძოლო მასალები, ნაღმები, აგრეთვე ანტიავღანური პროპაგანდისტული მასალები. ბაღდისის პროვინციაში ხელისუფალთ ჩაბარდა 250-მდე შეიარაღებული დუშმანი.

◆ **პაკისტანის** რეგულარული არმიის ნაწილები შეიჭრნენ სამხრეთ ვაზირისტანის რაიონში და შეიარაღებული თავდასხმა მოაწყვეს აჰმაძაისა და ვაზირების ტომებზე. დააპატიმრეს აჰმაძაის ტომის მთელი რიგი თემების ბელადები და უხუცესები.

როგორც ბახთარის სააგენტო ადასტურებს, პუშტუნის ტომებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს ჯარებს.

◆ ნორვეგია

გადაეცა ნობელის პრემია

ოსლო. აქ გაიმართა გავლენიანი საერთაშორისო მოძრაობისათვის — „მსოფლიოს ექიმები ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის" — **1985** წლის მშვიდობის ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონია.

იგი მიენიჭა კაცობრიობის საკეთილდღეოდ საქმიანობისათვის, ბირთვული ომის კატასტროფული შედეგების თაობაზე სარწმუნო ინფორმაციის გავრცელებისა და ადამიანთა შეგნებამდე მათი დაყვანის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილისათვის. პრემია გადაეცათ მოძრაობის თანათავმჯდომარეებს — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის საკავშირო კარდიოლოგიური სამეცნიერო ცენტრის დირექტორს აკადემიკოს ე. ა. ჩაზოვს და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორს ბერნარდ ლაუნს.

ჟენევის შემდეგ

ისტორიის საკუთრებად იქცა უმაღლეს დონეზე ჟენევის შეხვედრა. მართალია, გამორიცხული არ იყო, რომ შეხვედრაზე აკრედიტებული ოთხი ათასამდე ჟურნალისტი ამდენსავე მოსაზრებას გამოთქვამდა შეხვედრის შედეგებზე, მაგრამ ამჯერად ჟურნალისტთა სამყაროსათვის უჩვეულო ერთიანი აზრის მოწმენი გავხდით — საერთაშორისო შეფასება აშკარად პოზიტიური იყო.

საერთაშორისო წრეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს ცნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომის შესახებ და მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებას უმაღლესი საბჭოს სესიაზე. „თავის გამოსვლაში მ. გორბაჩოვმა ბოლო მოუღო მითს, თითქოს მოსკოვი რაიმე ფორმით დაეთანხმებოდეს პრეზიდენტ რეიგანის სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივას," — წერდა „ვაშინგტონ პოსტი", და მართლაც, ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვები, რომ „...სრულიად აუცილებელია ჩავრაზოთ კარი, რომლითაც იარაღმა შეიძლება კოსმოსში გააღწიოს. უამისოდ ბირთვული შეიარაღების რადიკალური შემცირება შეუძლებელია. ეს მინდა განვაცხადო მთელი პასუხისმგებლობით ხალხისა და მისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სახელით" არავითარ ეჭვს არ ტოვებს საბჭოთა პოზიციის თაობაზე.

ჟენევის შეხვედრის დამთავრებისთანავე ამერიკის პრესაში გამოჩნდა ცნობა, თითქოს საბჭოთა კავშირი შერიგებოდეს პრეზიდენტის „სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივას" და ამ რეალობის ფონზე წარიმართებოდეს შემდგომი მოლაპარაკება განიარაღების თაობაზე. რა იყო ეს? უსაფუძვლო ჭორს აყოლილი ჟურნალისტის ტრადიციული სწრაფვა სენსაციისადმი თუ გამიზნული პროვოკაცია? საქმე ის გახლავთ, რომ თვით ამერიკაში და განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში, „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" მომხრეებს აშკარად სჭარბობს შეიარაღებისადმი კონტროლის მომხრეთა რიცხვი. ამიტომ წმინდა პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ვაშინგტონს ხელს არ აძლევს შიშველი ალტერნატივა ან „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამა ან შეიარაღებისადმი კონტროლი. თეთრი სახლი ცდილობს შინ და გარეთ ყველას დაუმტკიცოს, რომ პრეზიდენტის ინიციატივა სულაც არ გამორიცხავს პროგრესს შეიარაღებისადმი კონტროლის სფეროში, პირიქით, იგი ხელს შეუწყობს მას.

...საიდუმლო აგენტი ბრას ბენკროფტი როგორც იქნა მიაგნებს ორი უცხოელი ჯაშუშის კვალს, მაგრამ ბოლო მომენტში ეს უკანასკნელი თვითმფრინავით ახერხებს თავის შველას. გულადი და კეთილშობილი ბენკროფტი ლამის სასოწარკვეთილებას მიეცეს და ამ დროს მის ხელთ აღმოჩნდება უახლესი იარაღი — „ნაწილაკების გამომსხივებელი", რომელიც ფილმის მიხედვით „უძლეველს ხდის ომებში ამერიკას და ამიტომაც არის გენიალური იარაღი". მისი სხივების ძალით ჯაშუშთა თვითმფრინავი ჯერ ცაში გაიყინება, თითქოს ზეცას ლურსმანით მიაჭედესო, შემდეგ ცეცხლი უჩნდება და ძირს ვარდება. ნუ იფიქრებთ, რომ ეს „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" სარეკლამო ფირია ჰოლივუდის ყაიდაზე დამზადებული. ფილმი, მართლაც, ჰოლივუდში გადაიღეს, ოღონდ 1940 წელს, რაც ნიშანდობლივია, ბრას ბენკროფტის როლს ფილმში რონალდ რეიგანი ასრულებდა...

ჟენევის შეხვედრის დღეებში კი ამერიკის ტელეეკრანებზე უჩვენებდნენ უკვე ნამდვილ სარეკლამო ფირს: ცარცით დახატული გოგონა, დედა, მამა, ძაღლი და მზე. ისმის გოგონას ხმა: „მე შევეკითხე ჩემს მამიკოს, რას ნიშნავს „ვარსკვლავეთის ომები"? მან მიპასუხა: სადღეისოდ ჩვენ არ შეგვიძლია თავი დავიცვათ ბირთვული იარაღისაგან, ამიტომაც სურს პრეზიდენტს შექმნას ბირთვული ფარი". ამ სიტყვებთან ერთად ნახატის თავზე ჩნდება ნახევარწრე, რომელიც ფარავს ამ იდილიურ სცენას მზესთან ერთად. გოგონა კი განაგრძობს ტიტინს: „ეს ფარი კოსმოსშივე შეაჩერებს რაკეტებს, რათა ისინი ჩვენს სახლს არ დაეცნენ". ზემოდან გამოჩნდება ყვავისფერი რაკეტები (კიდევ კარგი, წითლები არა!) რომლებსაც მარჯვედ აისხლეტს ნახევარწრე. გოგონა: „მაშინ ვერავინ მოიგებს ომს, ხოლო თუ ომს ვერავინ მოიგებს, მისი დაწყების მიზეზიც გაქრება". ნახევარწრე ცისარტყელად იქცევა, მზეც იცინის.

სარეკლამო ფილმი დააფინანსა „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" მომხრეთა კოალიციამ.

„ვარსკვლავეთის ომების" პროგრამასა და მის როლზე ბევრი დაიწერა და ითქვა. როგორც ეტყობა, ეს პრობლემა მომავალშიც ცხარე კამათის თემად დარჩება, იგი ხომ მთავარი ბარიერია შეიარაღებისადმი კონტროლის სფეროში შეთანხმების გზაზე. როგორც ამერიკელ ჟურნალისტთა პატრიარქი ჯეიმს რესტონი აღნიშნავდა ერთ-ერთ წერილში, პროგრამა ბევრს იზიდავს ვაშინგტონში. ერთნი მისი წმინდა სამხედრო ასპექტით არიან გატაცებულნი, მეორენი მასში მხოლოდ სარფიანი დივიდენდების წყაროს ხედავენ, ზოგიერთებს კი იგი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალ „ტექნოლოგიურ შეტევად" მიაჩნიათ. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი მომენტი ჟენევაში მ. ს. გორბაჩოვის პრესკონფერენციაზე ერთ-ერთ კითხვაშიც აისახა. საქმე ის არის, რომ ბოლო წლებში დასავლეთის პრესა სულ უფრო ხშირად ეხება ჩვენი ქვეყნის ტექნოლოგიური პოტენციალის პრობლემას. შეფასება სხვადასხვაგვარია. ზოგი ავტორი იმასაც ამტკიცებს, თითქოს საბჭოთა კავშირი „ჩამორჩებოდეს" განვითარებულ მსოფლიოს თანამედროვე ტექნოლოგიის დარგში და „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა" სწორედ ის ბარომეტრი იქნება, რომელიც საქვეყნოდ გამოააშკარავებს „საბჭოთა ქვეყნის ჩამორჩენას". ყველას გვახსოვს, თუ რა ანტისაბჭოთა იქსტაზი გამოიწვია ვაშინგტონის ეკონომიკურმა „სანქციებმა" დასავლეთის გარკვეულ წრეებში, მაგრამ მათ რატომღაც მხედველობიდან „გამორჩათ" ერთი საინტერესო დეტალი — „სანქციათა" ნუსხაში არ მოხვდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის ისეთი სფეროები, როგორიც არის თერმობირთვული სინთეზი, ელექტრომეტალურგია, ტექნოლოგია, კარდიოლოგია, ონკოლოგია, კოსმოსური მედიცინა და სხვა. თუმცა ამერიკის ორი პრეზიდენტის მრჩეველი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ფრენკ პრესი საჯაროდ აცხადებდა, „ხსენებულ სფეროებში საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობამ პირდაპირი სარგებლობა მოუტანა ამერიკის შეერთებულ შტატებსო", მაგრამ დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის ორგანოებმა ძირითადად წაუყრუეს ასეთ გულახდილ აღიარებებს. ასევე, დასავლეთის ფართო საზოგადოებრიობისათვის დღემდე არ არის ცნობილი თვალსაჩინო ამერიკელი ექსპერტების სტენლის უელბორნისა და კაიზერის მიერ სახელმწიფო დეპარტამენტისათვის მომზადებული ანალიზი ჩვენს ქვეყანასთან მეცნიერების სფეროში თანამშრომლობის მიზანშეწონილობის შესახებ. ანალიზში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ამერიკისათვის აშკარად ხელსაყრელი იყო საბჭოთა კავშირთან ინფორმაციის გაცვლა გულ-სისხლძარღვთა დაავადების სფეროში, ხოლო ელექტრომეტალურგიის დარგში კი „ამერიკელებმა შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწიეს საბჭოთა მონაცემების გამოყენებით."

ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში ამერიკის კომპანიებმა ჩვენგან შეიძინეს 60 ლიცენზია უახლესი ტექნოლოგიის სფეროში, ხოლო დასავლეთ ევროპამ და იაპონიამ — ორჯერ მეტი. ამავე დროს ხსენებული პარტნიორებისაგან საბჭოთა კავშირმა ორჯერ ნაკლები ლიცენზია შეიძინა. განა ეს კონკრეტული ფაქტი იმაზე არ მეტყველებს, რომ საბჭოთა კავშირი სულაც არ არის დამოკიდებული დასავლეთის ტექნოლოგიურ სიახლეებზე? განა შეძლებდა ტექნოლოგიურად „ჩამორჩენილი" ქვეყანა შეექმნა მსოფლიოში ყველაზე დიდი ტელესკოპი, გაებურღა ყველაზე ღრმა [illegible]ლი, აეგო უნიკალური [illegible] ყინულმჭრელები და ყველაზე მძლავრი ელექტროსადგურები? სტატისტიკის [illegible] კარგად არის ცნობილი, რომ საბჭოთა [illegible] მსოფლიოში განხორციელებული და განხორციელების პროცესში არსებული ყველა სამეცნიერო კვლევითი პროექტის ერთი მესამედი, მსოფლიო აღმოჩენათა 20 პროცენტი, რომ მსოფლიოში გამოდნობილი ლითონის 60 პროცენტი მიღებულია ჩვენში დამუშავებული უწყვეტი ჩამოსხმის მეთოდით და ა. შ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა ჩამორჩენაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ, მიუხედავად „სანქციებისა", ვადამდე 6 თვით ადრე დამთავრდა გიგანტური გაზსადენის მშენებლობა?

ჟენევაში ხელმოწერილ ერთობლივ განცხადებაში ნახსენებია თანამშრომლობა თერმობირთვული სინთეზის სფეროში. პრობლემის აქტუალურობა რეკლამას არ საჭიროებს. უნდა შეიქმნას გიგანტური რეაქტორი აღნიშნულ სფეროში ერთობლივი სამუშაოებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი თანამშრომლობის ორმხრივი სარგებლიანობა ეჭვს არ იწვევს, ჟენევის შეხვედრის წინა დღეებშიც კი ცხარე კამათი გაიმართა რეიგანის ადმინისტრაციაში ხელშეკრულების მიზანშეწონილობის თაობაზე. სინთეზის რეაქციის შედეგად მიღებული ენერგიის ადამიანის სამსახურში ჩაყენება იოლი საქმე როდია. ეს მოითხოვს 20-25-წლიან თანამშრომლობას და მრავალ მილიარდ დოლარს. ზოგიერთნი ვაშინგტონში შიშობენ, რომ ამგვარი ხელშეკრულება საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობის დიდმნიშვნელოვანი დემონსტრაცია იქნება, რაც პოლიტიკური თვალსაზრისით მათთვის „მიზანშეუწონელია". როგორც ნოემბრის შუა რიცხვებში ამერიკის პრესა იუწყებოდა, ენერგეტიკის სამინისტრო და სახელმწიფო დეპარტამენტი დასაშვებად და საჭიროდ მიიჩნევდნენ ასეთ თანამშრომლობას, უაინბერგერის უწყება კი, რასაკვირველია, წინააღმდეგი იყო. რატომ? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პროექტის განხორციელება დიდ თანხებს მოითხოვს, რომელთა გამოყენება სხვა მიზნითაც შეიძლება (მაგალითად, პენტაგონის ბიუჯეტის გასაზრდელად), გარდა ამისა „არსებობს იმის რისკი, რომ საბჭოთა კავშირი ხელთ იგდებს თანამედროვე ამერიკულ ტექნოლოგიას — აი მათი „არგუმენტი".

მ. ს. გორბაჩოვმა სავსებით სამართლიანად უწოდა შემდგომ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მატერიალური ბაზა თანამშრომლობას მეცნიერების, კულტურის, განათლების სფეროებში, ურთიერთხელსაყრელ ვაჭრობას. მისასალმებელია, რომ მიმდინარე წლის მაისში, 1979 წლის შემდეგ, კვლავ განაახლა თავისი მუშაობა საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივმა სავაჭრო კომისიამ.

არის კი იმის რეალური პერსპექტივა, რომ ჟენევის შემდგომ პერიოდში „ნდობის ატმოსფერო" შეიცვლება „მტრობის ატმოსფეროთი"? რასაკვირველია, არის, თუმცა ვაშინგტონის დღევანდელი კურსი საწინააღმდეგო ტენდენციას უფრო უწყობს ხელს. ჟენევაში რეიგანი ლაპარაკობდა კონტაქტების განვითარებაზე, ჩვენი ქვეყნების ახალგაზრდობას შორის კავშირურთიერთობის განმტკიცების აუცილებლობაზე. ფაქტია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ამერიკაში გაცხოველდა ინტერესი ჩვენი ქვეყნის მიმართ. ამერიკის კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში გაიზარდა საბჭოთა კავშირის შემსწავლელ სტუდენტთა რიცხვი. მაგრამ რამ გამოიწვია ეს? „იზრდება ახალგაზრდა ამერიკელთა ინტერესი რუსეთისადმი, როგორც მოწინააღმდეგისადმი", დაასკვნის „ვაშინგტონ პოსტი", და ძნელია ხელაღებით უარყო ეს არასასიამოვნო თეზისი. ბოლო ორ წელიწადში ვაშინგტონის, ჰარვარდის, ბერკლისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებში, სხვა უმაღლეს სასწავლებლებში იგრძნობა ინტერესის ზრდა საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებისა და რუსული ენისადმი. 9 საშტატო ერთეულით გაიზარდა, მაგალითად, პროფესორ-მასწავლებელთა რიცხვი ჰარვარდის უნივერსიტეტში, და ეს შეეხო ისეთ დისციპლინათა სპეციალისტებს, როგორიც არის საბჭოთა კოსმოსური პროგრამა, საბჭოთა სამხედრო სტრატეგია, სოფლის მეურნეობა, ეროვნული საკითხი, საშინაო პრობლემები და სხვა.

ამერიკელ სპეციალისტთა აზრით, „მოწინააღმდეგის შესწავლის" მასშტაბის ზრდას საგრძნობლად შეუწყო ხელი თვით პრეზიდენტმა რეიგანმა თავისი ანტისაბჭოური რიტორიკით.

ჩავთვალოთ, რომ ეს ყველაფერი ჟენევამდე იყო, ხოლო „ახალი დასაწყისი", რაზეც ამერიკის პრეზიდენტი ლაპარაკობდა ჟენევაში და ჟენევიდან დაბრუნებული კონგრესის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე, სხვა სტიმულს მისცემს ამერიკელ ახალგაზრდობას. პრეზიდენტმა ხომ ისიც განაცხადა, რომ დროა სიტყვები საქმედ ვაქციოთო. ახლა მას უნიკალური შესაძლებლობა აქვს საქმით დაამტკიცოს თავისი გულწრფელობა. ჟენევის შემდგომი პერიოდი ამის საუცხოო და, შეიძლება ითქვას, განუმეორებელ შანსს იძლევა.

ს. ცინცაძე,
„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.

სამშობლოსა და მეცნიერების სამსახურში



ვარლამ დონდუას დაბადების 90 წლისთავის გამო

ჩვენი საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს სამ ძმას — კარპეზ, ვარლამ და დავით დონდუებს, რომელთაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ისტორიაფილოლოგიის, გეოგრაფიის, პედაგოგიკის მეცნიერებათა განვითარებაში. ამ დღეებში ჩვენმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა ერთი მათგანის — ცნობილი ისტორიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ვარლამ დარისპანის ძე დონდუას დაბადების 90 წლისთავი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ამ თარიღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

ვ. დონდუა დაიბადა ქ. ქუთაისში გამრჯე და პატიოსან მშრომელთა მრავალშვილიან ოჯახში. მიუხედავად ხელმოკლეობისა, მშობლებს ცდა არ დაუკლიათ და ყველა შვილი — 9 ქალ-ვაჟი აზიარეს განათლებას. საშუალო განათლება ვარლამ დონდუამ მიიღო ქუთაისის ცნობილ ქართულ გიმნაზიაში, რომელსაც ბევრი გამოჩენილი მოღვაწე აღუზრდია. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი ერთხანს მასწავლებლობდა. ისტორიას ასწავლიდა ქუთაისისა და თბილისის საშუალო სასწავლებლებში. ამავე ხანებში მან შეადგინა სახელმძღვანელო წიგნი — „საშუალო საუკუნეების ისტორია", რომელიც ქუთაისში გამოიცა 1920 წელს და დადებითი შეფასებაც დაიმსახურა.

1923 წელს ცოდნას მოწყურებული ჭაბუკი ივანე ჯავახიშვილის სემინარებს ესწრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ახალგაზრდები დიდი მეცნიერის ხელმძღვანელობით ეცნობოდნენ ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლებს, ეუფლებოდნენ მათი ანალიზის მეთოდებსა და ხერხებს. ერთი წლის შემდეგ ვ. დონდუა ლენინგრადის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. იქ მისი მასწავლებლები იყვნენ აკადემიკოსები თეოდორე უსპენსკი, ნიკო მარი, იოსებ ორბელი და სხვა სახელგანთქმული მეცნიერები. 1927 წელს მან დაასრულა ლენინგრადის უნივერსიტეტის ენათმეცნიერებისა და მატერიალური კულტურის ფაკულტეტის აღმოსავლურ კულტურათა ციკლი და ჩაირიცხა ასპირანტად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში. მალე ნ. მარის რეკომენდაციით ლენინგრადის უნივერსიტეტში ვ. დონდუას საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიის კურსის, ხოლო შემდეგ ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული პალეოგრაფიის კურსების წაკითხვაც ჩააბარეს. სახელოვანი ტრადიციების მქონე ლენინგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ფაკულტეტზე მიწვევა დამწყები მეცნიერისა და ლექტორისათვის დიდი ნდობის გამოცხადებას ნიშნავდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ვ. დონდუა შეთავსებით მუშაობდა აგრეთვე ენისა და აზროვნების და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტებში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. ამ წლებში მან მნიშვნელოვანი სამეცნიერო მუშაობა გასწია კავკასიის ხალხთა ისტორიისა და ქართულ-სომხური ფილოლოგიის დარგში. იგი აგრეთვე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა ქალაქის მოსახლეობაში ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხაზით — აღმოსავლურ კულტურათა სახლში, პიონერთა სასახლეში, მწერალთა სახლში ხელმძღვანელობდა საქართველოს ისტორიისა და ქართული ენის შემსწავლელ წრეებს. თავის უფროს ძმასთან, კარპეზთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო „ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებებში. კითხულობდა ლექცია-მოხსენებებს, ზრუნავდა ქართული კულტურის ძეგლთა დაცვაზე.

დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ ვ. დონდუა ლენინგრადში დარჩა და განაგრძობდა შრომითს საქმიანობას, ლექციებს კითხულობდა სამხედრო ნაწილებში, მონაწილეობდა ტანკსაწინააღმდეგო სიმაგრეთა აგებაში. ლენინგრადშივე გაატარა მან ბლოკადის პირველი მძიმე ზამთარი. შიმშილისა და სიცივისაგან ღონემიხდილი მეცნიერი 1942 წლის დამდეგს ჯერ სტაციონარში მოათავსეს, შემდეგ კი ევაკუირებული იყო ალყაშემორტყმული ლენინგრადიდან, იმავე წლის მაისში თბილისში ჩამოვიდა და გამოჯანმრთელების შემდეგ აქტიურად ჩაება სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში. 1954 წელს იგი სათავეში ჩაუდგა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ერთ-ერთ წამყვან უჯრედს — წყაროთმცოდნეობის განყოფილებას. ამავე დროს ვ. დონდუა პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა — საქართველოს ისტორიის კურსს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ვარლამ დონდუა ფართო დიაპაზონის მკვლევარი იყო. მისი სამეცნიერო ინტერესები სწვდებოდა კავკასიის, მეტადრე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური, აგრეთვე კულტურის ისტორიის პრობლემებს ანტიკური ხანიდან XVIII საუკუნემდე. ანტიკური ხანისა და ადრეფეოდალური პერიოდის საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილი ნაშრომები ვ. დონდუამ ძირითადად დაწერა საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოსა და რუსულ ენაზე გამოქვეყნებული მრავალტომიანი „სსრკ ისტორიის ნარკვევებისათვის" (აქ მისი თანაავტორები იყვნენ გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსები ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი). ავტორს ხელი მიუწვდებოდა ბერძნულ, ლათინურ, სომხურ წყაროებზე, რის წყალობითაც შეძლო ძველი იბერიისა და კოლხეთის ისტორიის არაერთი საკითხი ორიგინალურად, ახლებურად გაეშუქებინა.

განსაკუთრებული ღვაწლი დასდო მეცნიერმა განვითარებულ შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიის კვლევას. აქ უპირველესად აღსანიშნავია რუსთაველის ეპოქისადმი მიძღვნილი ნაშრომები.

მისთვის ჩვეული კეთილსინდისიერებითა და გულმოდგინებით აქვს ვ. დონდუას დამუშავებული XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიის პრობლემები.

საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ ვ. დონდუას გამოკვლევები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე, რომლებშიც განხილულია ორი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ფაქტები, ნაჩვენებია საქართველო-რუსეთის მფარველობითი კავშირის დადებითი მნიშვნელობა.

ვ. დონდუას მეცნიერული მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო წყაროთმცოდნეობითი კვლევა. მან თავისი განსაკუთრებული წვლილი შეიტანა საისტორიო მეცნიერების ამ უმნიშვნელოვანესი კომპლექსური დარგის, მისი შემადგენელი სპეციალური დისციპლინების — არქეოგრაფიის, დიპლომატიკის, ეპიგრაფიკის, პალეოგრაფიის, ტექსტოლოგიის განვითარებაში.

ვარლამ დონდუას ჰქონდა საკუთარი განუმეორებელი სტილი და ჩვევა საუბრისა, წერისა, საზოგადოებასა და პირად ცხოვრებაში თავის დაჭერისა, განპირობებული მისი ღრმა ინტელიგენტობით, უსაზღვრო წესიერებით, მაღალი ზნეობრივი სიფაქიზით და ფართო განათლებით. უაღრესად რბილი ბუნების და მოკრძალებული მეცნიერი ამავე დროს მეტად პრინციპული და შეუპოვარი იყო, როცა საქმე შეეხებოდა მეცნიერების ინტერესებს, ისტორიული ჭეშმარიტების დაცვას. ვ. დონდუა აქტიური საზოგადოებრივი პოზიციის მეცნიერი იყო. ის ყოველთვის ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის წინა ხაზზე იდგა, ცხოვლად ეხმაურებოდა რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კოლექტივი წმინდად ინახავს თავისი ერთ-ერთი საუკეთესო წევრის ნათელ ხსოვნას. მისივე პირადი ბიბლიოთეკის ბაზაზე ინსტიტუტში გახსნილია პროფესორ ვ. დონდუას სახელობის კაბინეტი სამკითხველო დარბაზითურთ, რითაც სამუდამოდ უკვდავყოფილია მეცნიერის სახელი. ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილება, რომელსაც 15 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ვ. დონდუა, დიდ მუშაობას ეწევა მისი სამეცნიერო მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის ხაზით. მომზადდა და გამოიცა მკვლევარის „საისტორიო ძიებათა" მეორე და მესამე ტომები, გამოიცა აგრეთვე ვ. დონდუას მიერ რუსულად თარგმნილი „შუშანიკის წამება" და „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი".

ვარლამ დონდუასთვის მეცნიერება განუყოფელი იყო მისი პირადი ცხოვრებისაგან. სამშობლოსა და მეცნიერების სამსახური მისთვის მოვალეობა კი არა, შინაგანი მოთხოვნილება იყო. ამიტომაც იყო, რომ ამაგდარმა მოღვაწემ პირნათლად მოიხადა თავისი წმინდა ვალი ერისა და ქვეყნის წინაშე, ხოლო ნაცნობმეგობრებში, უფროს და უმცროს კოლეგებში მშობლიური ქვეყნის ისტორიული წარსულის ჩაკვირვებული მკვლევარის, უაღრესად თავაზიანი და პატიოსანი მოქალაქის, გულისხმიერი ამხანაგის, გამრჯე და მუყაითი მუშაკისა და შესანიშნავი მამულიშვილის სახელი დაიმკვიდრა.

რ. კიკნაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ვინ შეატრონებს «სინემას»?

ჟოველწლიურად ახალი სახელები ჩნდება კინოხელოვნებაში, მათ მეელი თემების, პრობლემების, მხატვრული მეთოდების თავისებურ, ახლებურ ინტერპრეტაციასთან ერთად მოაქვთ ახალი ხედვა, ახალი აღქმა, ახალი ხერხები.

როგორია უკანასკნელ წლებში საბჭოთა კინემატოგრაფიაში მოსული თაობა თავისი მოქალაქეობრივი, იდეურ-პოლიტიკური პოზიციით, პროფესიონალიზმით, მხატვრული ოსტატობით, რა თემები და პრობლემები აღელვებს, როგორ აღიქვამს თანამედროვე ცხოვრებას და უკავშირებს მას ისტორიას. შეუძლია თუ არა კინემატოგრაფიაში ახალი სიტყვა თქვას? ამ კითხვათა გარკვეული პასუხი იქნება ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა ნამუშევრების IV საკავშირო დათვალიერება-კვირეული, რომელიც თბილისში 12-18 დეკემბერს გაიმართება. კვირეულში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის ყველა სტუდიის წარმომადგენლები.

ერთი კვირის მანძილზე თბილისის კინოსახლის დიდ და მცირე დარბაზებში კინომოყვარულები გაეცნობიან საკონკურსო პროგრამას. გამარჯვებულებს გამოავლენს საბჭოთა კინოს სპეციალისტების კომპეტენტური ჟიური.

თბილისელ მაყურებელს საშუალება ექნება იხილოს საკონკურსო მხატვრული ფილმები კინოთეატრებში „ქართულ ფილმსა" და „კომკავშირელში", ხოლო მულტფილმები — „ნაკადულში".

დათვალიერება-კვირეულის პროგრამაში წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის ყველა სტუდიის ახალგაზრდა რეჟისორთა ნამუშევრები თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანია — ნაჩვენები იქნება მოკლე და სრულმეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული და მულტიპლიკაციური ფილმები.

დათვალიერება-კვირეულის პროგრამა მარტო ფილმების ჩვენებას როდი ითვალისწინებს. კონკურსის ორგანიზატორებმა იგი შეძლებისდაგვარად გაამდიდრეს — დედაქალაქის სტუმრები დაათვალიერებენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, შეხვდებიან რესპუბლიკის შემოქმედი ინტელიგენციის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა კოლექტივებს, მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენლებს, გაიმართება პრესკონფერენციები, საუბრები, სამეცნიერო კონფერენცია... ერთი სიტყვით, მრავალმხრივ და სრულად წარმოჩინდება ის, რაც ჟახლოეს წარსულში შემოქმედ ახალგაზრდობასთან აღმზრდელობითი მუშაობით გაკეთდა.

ნ. ლურსმანაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

ალერგოლოგია და იმუნოლოგია მედიცინის მეცნიერების „ახალგაზრდა" დარგებია. მიუხედავად ამისა, მათ დიდი მნიშვნელობა შეიძინეს სხვადასხვა სნეულების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში. ამიტომ სწავლული მედიკოსები და სპეციალისტები ფართოდ იყენებენ თავიანთ სამეცნიერო და პრაქტიკულ მუშაობაში მედიცინის ამ დარგის მიღწევებს.

საბჭოთა მედიკოსების დიდი რაზმის საქმიანობის შედეგები, სამეცნიერო კვლევის შემდგომი გაფართოების პერსპექტივები, ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში ახალი მეთოდების დანერგვის მეთორმეტე ხუთწლედის საერთო-საკავშირო გეგმის პროექტი განიხილა ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის საპრობლემო კომისიის საკავშირო პლენუმმა, რომელმაც მუშაობა დაამთავრა თბილისში.

საპრობლემო კომისიის თავმჯდომარემ, საკავშირო ალერგოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ადომ უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს:

— „ცივილიზაციის სნეულებანი" — ასე განსაზღვრავს ზოგიერთი საზღვარგარეთელი მეცნიერი ალერგიულ დაავადებებს, რომლებიც ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ისინი განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში. შენიშნულია კანონზომიერება: ინფექციურ დაავადებათა რიცხვის შემცირებასთან სდევს ალერგიულ დაავადებათა მატება. ბოლო წლებში ისინი ისევე ხშირად გვხვდება, როგორც გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი და ბიოლოგიისა და მედიცინის ერთ-ერთ საიდუმლოებით მოსილ მოვლენად არიან მიჩნეული. ძნელია იმის გამოვლენა, თუ საიდან მომდინარეობს საფრთხე, ექიმმა ოდნავ

ალერგენების წინააღმდეგ „ფარის" ძიებაში

შესამჩნევი ნიშნებით, ავადმყოფის მთელი ცხოვრების ანალიზის შედეგად უნდა განსაზღვროს მისი მტერი — სამში ალერგენი. ბრძოლა ამ სნეულების წინააღმდეგ საბჭოთა მედიცინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება გახდა.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილია მძლავრი განშტოებული ალერგოლოგიური სამსახური. მაგრამ სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის და ძირითად მიმართულებათა პროექტებში დასახული მოსახლეობის სამედიცინო დახმარების შემდგომი სრულყოფის დიდმნიშვნელოვან ამოცანათა შესაბამისად იგი გარდაქმნას, გაუმჯობესებას საჭიროებს, უნდა გადაიწყვიტოთ მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები, კვლევის კოორდინაციის, მეცნიერ ალერგოლოგებს, იმუნოლოგებსა და კლინიცისტებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარების პრობლემა.

გარდა ამისა, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს დასახული აქვთ უმნიშვნელოვანესი ამოცანა, მოაწყონ მთელი მოსახლეობის დისპანსერიზაცია. ეს მუშაობა წარმოებს, მაგრამ ჯერ არ მიუღწევია საჭირო მასშტაბისათვის. და აქ თავისი სიტყვა უნდა თქვას ალერგოლოგიურმა სამსახურმა. ბევრი რამ არის დამოკიდებული მეცნიერებზე, ალერგოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის ახალი ეფექტიანი მეთოდების უფრო ინტენსიურ ძიებაზე. ჩვენგან ელიან ახალ-ახალ ფუნდამენტურ გამოკვლევებსაც. ახლა საბჭოთა მეცნიერები წარმატებით მუშაობენ მათ მიერ გამოყოფილ ახალ სახეობათა ალერგენებზე. შესწავლილია ქვეყნის ცალკეული რეგიონებისათვის, კერძოდ ზამისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი მცენარის ალერგოლოგიური თვისებები. გამოვყავით შესაბამისი ალერგენები და შესაბამისად, შევძლებთ უფრო ეფექტიანად ვებრძოლოთ მძიმე სნეულებას.

ყველა ეს საკითხი იყო საკავშირო საპრობლემო კომისიის პლენუმის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში. პლენუმზე მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელება საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ ალერგიული სნეულებებით დაავადებულთა სამედიცინო დახმარების ხარისხი.

ჩვენი რესპუბლიკა შემთხვევით როდი აირჩიეს ქვეყნის მედიკოსთა წარმომადგენლობითი შეხვედრის ადგილად. აქ ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ალერგიულ დაავადებათა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დარგში. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში პირველი ალერგოლოგიის კათედრა. აქ ალერგოლოგების მხარდამხარ მუშაობენ იმუნოლოგები, იმუნოქიმიკოსები და სხვა სპეციალობების წარმომადგენლები. კომპლექსური მიდგომა, ინტენსიური სამეცნიერო კვლევა, ორიგინალური მეთოდების შემუშავება, სამსახურის კარგი ორგანიზაცია ეხმარება პრაქტიკოს ექიმებს და საქართველოს მეცნიერებს ალერგიული დაავადებების და, უწინარეს ყოვლისა, ბრონქული ასთმის წინააღმდეგ ბრძოლაში ეფექტიანი შედეგების მიღწევაში.

ი. გოლდმანი.

პრიზი მეთხუთმეტედ

თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ვაჟთა გუნდების ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე. დასკვნითი ტურის წინ 6-6 ქულით ლიდერობდნენ სსრ კავშირისა და პოლონეთის ნაკრები გუნდები. სწორედ მათ ორთაბრძოლას, რომელიც 10 დეკემბერს გაიმართა და თავისებურ ფინალად იქცა, უნდა გადარკვია ტურნირის გამარჯვებული და მართლაც, დაძაბულობითა და შინაარსით ეს შეხვედრა ნებისმიერ ავტორიტეტულ ტურნირს დაამშვენებდა. პირველი ნახევარი პოლონელი ხელბურთელების უპირატესობით წარიმართა და თითქმის მთელი დროის მანძილზე ანგარიში მიყავდათ კიდეც, და მხოლოდ ტაიმის ბოლოს შეძლო რ. ვალუცკასმა (შვიდმეტრიანი საჯარიმო დარტყმით) დაეწინაურებინა თავისი გუნდი — 12:11. საბოლოოდ მატჩი სსრ კავშირის ნაკრების გამარჯვებით (25:18) დამთავრდა და მანვე მეთხუთმეტედ მოიპოვა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზი.

პოლონეთის ნაკრები 6 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა. 4 ქულით მესამე ადგილი დაიკავა უნგრეთის გუნდმა, რომელმაც ბოლო შეხვედრაში ანგარიშით 23:20 დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები. ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს ნაკრებმა გუნდებმა თითო ქულაღა მოაგროვეს.

სურათზე: გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზის მფლობელი სსრ კავშირის ნაკრები.
ვ. გენბიურის ფოტო.

დაიწყო მოჭადრაკეთა პაექრობა

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო საქართველოს 1985 წლის ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის მოჭადრაკეთა შორის. მონაწილეთა შორის არიან დიდოსტატები გუფელდი, ზაიჩიკი, საერთაშორისო ოსტატები აზმაიფარაშვილი, სტურუა, ოსტატები გიორგაძე, ჩიქოვანი, ბოკუჩავა და სხვები.

დიდ ინტერესს იწვევს შეჯიბრებაში ნორჩ მოჭადრაკეთა დიდი ჯგუფის მონაწილეობა. ზოგი მათგანი ზაფხულში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ითამაშებს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის საჭადრაკო ტურნირში.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ახლახან თბილისში გაიხსნა საქართველოს მხატვართა ნამუშევრების რესპუბლიკური გამოფენა, რომელიც სკკპ XXVII ყრილობას ეძღვნება.

გამოფენაზე წარმოდგენილია რესპუბლიკის საჰრეთლისა და ყალმის ოსტატების სხვადასხვა თაობის წარმომადგენლების ოთხასზე მეტი ნაწარმოები.

გამოფენას ინტერესით ეცნობიან თბილისელები და ჩვენი დედაქალაქის სტუმრები.

სურათზე: გამოფენის ექსპონატები — შ. ხოლუაშვილის „შრომის ხემსტრი", ნ. იანქოშვილის „ვიქტორ კუპრაძის პორტრეტი", ნ. კვირიკველიას „გაზაფხული". გ. თოთიბაძის „ნინო ანანიაშვილი".

1952 წელს გამოშვებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი

ქალაქ გორკში 1985 წლის 17 ნოემბერს გამართული დაფარვის პირველი ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟში დაფარულია სერიების (25-25 სერია თითოეულში) შემდეგი ჯგუფების 50-ვე ნომრის ობლიგაციები (№ 01-დან № 50-მდე ჩათვლით) მოქცევაში გამოშვებული სესხის ყველა თანრიგის მიხედვით:

№ სერიიდან № სერიამდე ჩათვლით	№ სერიიდან № სერიამდე ჩათვლით	№ სერიიდან № სერიამდე ჩათვლით	№ სერიიდან № სერიამდე ჩათვლით
120026—120050	125176—125200	129851—129875	134526—134550
120101—120125	125251—125275	129876—129900	134551—134575
120151—120175	125426—125450	130051—130075	134751—134775
120226—120250	125476—125500	130226—130250	134876—134900
120476—120500	125526—125550	130251—130275	135176—135200
120801—120825	125626—125650	130401—130425	135201—135225
121076—121100	125776—125800	130451—130475	135276—135300
121176—121200	125901—125925	130676—130700	135326—135350
121251—121275	125926—125950	130726—130750	135351—135375
121601—121625	126026—126050	130801—130825	135676—135700
121701—121725	126126—126150	130876—130900	135701—135725
121751—121775	126276—126300	130901—130925	135776—135800
121901—121925	126301—126325	131001—131025	135826—135850
122051—122075	126326—126350	131026—131050	135901—135925
122076—122100	126401—126425	131051—131075	135976—136000
122126—122150	126501—126525	131276—131300	136126—136150
122151—122175	126626—126650	131376—131400	136201—136225
122176—122200	126651—126675	131476—131500	136226—136250
122251—122275	126751—126775	131601—131625	136276—136300
122326—122350	126851—126875	131626—131650	136376—136400
122401—122425	127026—127050	131826—131850	136526—136550
122451—122475	127051—127075	131926—131950	136601—136625
122501—122525	127101—127125	131951—131975	136701—136725
122526—122550	127176—127200	132026—132050	136726—136750
122601—122625	127226—127250	132101—132125	136776—136800
122626—122650	127276—127300	132176—132200	136851—136875
122651—122675	127351—127375	132301—132325	136926—136950
122701—122725	127426—127450	132426—132450	136951—136975
122776—122800	127501—127525	132451—132475	137026—137050
122826—122850	127926—127950	132501—132525	137101—137125
123076—123100	128051—128075	132526—132550	137126—137150
123101—123125	128101—128125	132551—132575	137201—137225
123276—123300	128126—128150	132576—132600	137401—137425
123401—123425	128201—128225	132626—132650	137426—137450
123501—123525	128251—128275	132676—132700	137526—137550
123576—123600	128301—128325	132701—132725	137651—137675
123601—123625	128376—128400	132751—132775	137876—137900
123626—123650	128426—128450	132776—132800	138251—138275
123651—123675	128451—128475	132826—132850	138326—138350
123676—123700	128551—128575	132876—132900	138351—138375
123751—123775	128826—128850	133126—133150	138401—138425
123826—123850	128876—128900	133226—133250	138451—138475
123951—123975	128951—128975	133276—133300	138476—138500
123976—124000	129076—129100	133326—133350	138501—138525
124026—124050	129126—129150	133351—133375	138551—138575
124076—124100	129151—129175	133451—133475	138651—138675
124151—124175	129201—129225	133601—133625	138676—138700
124176—124200	129226—129250	133676—133700	138826—138850
124576—124600	129251—129275	133801—133825	138926—138950
124601—124625	129351—129375	133826—133850	139051—139075
124701—124725	129401—129425	133851—133875	139176—139200
124776—124800	129426—129450	133901—133925	139251—139275
124851—124875	129451—129475	133926—133950	139276—139300
124876—124900	129501—129525	134126—134150	139326—139350
124926—124950	129526—129550	134326—134350	139401—139425
124976—125000	129626—129650	134351—134375	139426—139450
125001—125025	129651—129675	134376—134400	139451—139475
125126—125150	129801—129825	134401—134425	139501—139525
125151—125175		134501—134525	139951—139975

ცხრილის განმარტება

1952 წელს გამოშვებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის ობლიგაციათა დაფარვა წარმოებდა სერიების ჯგუფების მიხედვით, ამიტომ ცხრილში აღნიშნული სერიების ნომრების რიცხვში შედიოდა 1957 წლის 19 აპრილამდე გამართულ ტირაჟებში წინათ მოგებული ან დაფარული სერიების ნომრები, აღნიშნული ტირაჟების ცხრილებით ობლიგაციების შემოწმება შეიძლება შემნახველ სალაროში. ამ ტირაჟში დაფარულ ობლიგაციათა თანხამ შეადგინა 1 მილიარდი მანეთი.

დაფარვის ტირაჟში გასული 1952 წელს გამოშვებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სესხის ობლიგაციებით, 1961 წლის 1 იანვრიდან წარმოებული 10:1 შეფარდებით ფასების მასშტაბის შეცვლის შესაბამისად, გაიცემა შემდეგი თანხები:

აღნიშნულია ობლიგაციაზე	გაიცემა
500 მან.	50 მან.
200 მან.	20 მან.
100 მან.	10 მან.
50 მან.	5 მან.
25 მან.	2 მან. და 50 კაპ.
10 მან.	1 მან.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები 1985 წლის 11 დეკემბრიდან გაანაღდებენ დაფარვის ტირაჟში გასულ ობლიგაციებს.

კომისიის თავმჯდომარე — გორკის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ბ. ბრაჩოვი.**

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **ლ. პ. ესინა.**

ფესი, რიგი და ჩვენ

არსებობს გულისტკივილი, რომელიც დავიწყების მკაცრ კანონს არ ემორჩილება. დაწერს გამომძიებელი საბრალდებო დასკვნას, მოსამართლე — განაჩენს, და თითქოს ამით მიეზღო ყველას თავისი. გავა დრო და დავიწყებას მიეცემა შემთხვევა. რას იზამ, ასეთია ცხოვრება, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომელთა გულიდან არასდროს არ ამოიშლება ის ამბავი, რომელსაც ზოგი შემთხვევას უძახის, ზოგი — დანაშაულს.

დაზარალებული კი დადის ინსტანციიდან ინსტანციაში, სასამართლოდან პროკურატურაში, პროკურატურიდან რედაქციაში, რედაქციიდან კიდევ სხვა მაღალ ინსტანციებში, წერენ თხოვნებს, საჩივრებს, გამოთქვამენ გულისნადებს, უკმაყოფილებას და ზოგჯერ — არც თუ უსაფუძვლოდ, მაშინ, როცა თავის დროზე ალბათ სულ იოლად შეიძლებოდა ამ მომჩივანის დაკმაყოფილება.

გამომძიებლის ან ნებისმიერი ადმინისტრაციული პირის აზრიან, დამაჯერებელ პასუხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომჩივანის სწორად ინფორმირების საქმეში. არ არის საჭირო საქმის ხელოვნურად გაბუნდოვნება და გამუქება. ყველაფერი ეს სპობს მომავალი საჩივრებისა და განცხადებების საფუძველს.

თბილისში, სპორტის სასახლის წინ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა აბესალომ ზენაიშვილმა დანით მოკლა ამავე ინსტიტუტის [illegible] დნენ თანაკურსელი ჯონდო კეშელავა და ინსტიტუტიდან გარიცხული ირაკლი მჭედლიშვილი. მაგნიტოფონი რომ არ დახვდა, განაწყენებულმა ა. ზენაიშვილმა აგინა ზ. ბერიანიძეს და შემდეგ ცემა დაუწყო, მან თავს უშველა და მოახერხა ოთახიდან გაქცევა. გათამამებული სამეული ქუჩაში გამოუდგა, რკინიგზის სადგურამდე სდია, ბერიანიძე, როგორც იქნა, ხულიგნებს ხელიდან დაუსხლტდა, ნათესავთან შეაფარა თავი და იქ დაიწყო ცხოვრება.

ზ. ბერიანიძე ცდილობდა ა. ზენაიშვილთან შერიგებას, და მართლაც, ორი კვირის შემდეგ მოლაპარაკებისამებრ ისინი ერთმანეთს სპორტის სასახლესთან შეხვდნენ.

როცა ა. ზენაიშვილი და ზ. ბერიანიძე ლაპარაკობდნენ მაგნიტოფონის თაობაზე, ი. მჭედლიშვილმა ზ. ბერიანიძეს უკანიდან მოპარვით მოულოდნელად და უმიზეზოდ ხელი გაარტყა. იქვე მდგომმა გ. ბარსკიმ ხულიგნური მოქმედებისა და ჩხუბის აღკვეთის მიზნით, ხელები დაუკავა ი. მჭედლიშვილს და მოაშორა ზ. ბერიანიძეს. ამის დანახვაზე ბოროტმა [...]

ზენაიშვილმა და ი. მჭედლიშვილმა უარყვეს მათ მიერ ჩადენილი დანაშაული, მაგრამ სასამართლო კოლეგიამ, მოისმინა რა სამართალში მიცემულთა და მოწმეთა ჩვენებები, გულდასმით გააანალიზა და შეაფასა საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებები, ჩათვალა, რომ ა. ზენაიშვილისა და ი. მჭედლიშვილის ჩვენებები არ შეეფერება სინამდვილეს, რამდენადმე არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და მიზნად ისახავს პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას და სასჯელის შემსუბუქებას.

სასამართლომ მკვლელ ზენაიშვილს შეუფარდა თხუთმეტი წლის თავისუფლების აღკვეთა. აქედან იგი ნახევარს მოიხდის საპყრობილეში, ხოლო დანარჩენს გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში. ი. მჭედლიშვილი დამნაშავედ ცნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის ზომა განესაზღვრა ერთი წლის თავისუფლების აღკვეთით საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონი[...]

სანთელ—საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს

სასამართლო ნარკვევი

[...]

ბ. ბახტურიძე.

განაჩენი აღსრულებულია

ჯერ იყო და, ეშმაკობა იხმარა. [...]

რედაქტორის მოადგილე **დ. იოსელიანი.**

„საქმთავარენერგო" შეახსენებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე [...]

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

12 დეკემბერი

თბილისი

12 დეკემბერი

[...]